
0,90 მ
2.00 მ

გამიჯვნის შედეგად მზიდ კედელში არსებული კარის ამოშენებისა და მის გვერდით საპროექტო კარის მოწყობის გეგმა მ-1:100



№ 1 17 იანვარი 2014 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ №39–ში არსებული ფართის შიდა მზიდ კედელში კარის გაჭრის განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ №39–ში არსებული ფართის შიდა მზიდ კედელში კარის გაჭრა ხორციელდება არსებული რვასართულიანი შენობის პირველ სართულზე,

ჩვენს მიერ შეწავლილი იქნა არსებული შენობის პირველი სართულის კედლებისა და გადახურვის მდგომარეობა და ტიპი. კედლები შესრულებულია წვრილი საკედლე ბლოკებითა და აგურით, სისქით 0,70 მ. სართულშუა გადახურვა შესრულებულია ღრუტანიანი ანაკრები ფილებით, სისქით 0,22 მ.

კარის ღიობის გაჭრა უნდა განხორციელდეს გამოჯვნის შედეგად მიღებულ ფართში გასასვლელად არსებულ აგურის მზიდ, 0,70 მ სისქის, კედელში, არქიტექტურული ნახაზის მიხედვით. კარის მოსაწყობად უნდა გამოიჭრას ღიობი, ზომებით 0,90 მ X 2,00 მ. სამუშაები უნდა ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

– ორი ცალი №20 შველერით, სიგრძით 1,50 მ უნდა მოეწყოს ზღუდარი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირდება ანკერებით დ-25 მმ და მიიჭიმება ერთმანეთთან.

– გამოიჭრას კარის ღიობის კიდეებზე შტრაბები, სადაც უნდა მოეწყოს 100X100X10 მმ ზომის კუთხოვანები კედლის ორივე მხარეს. კუთხოვანები უნდა დაკავშირდნენ ერთმანეთთან ზოლოვანი ფურცლებით, 100X8, ბიჯით 400 მმ.

– მოწყობილი ლითონის ელემენტები დაიფაროს ანტისეპტიკური ხსნარით, და შეილესოს ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

– მშენებლობის პროცესში დაცული იქნას სამშენებლო ნორმები და წესები.

დასკვნა: ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ №39–ში არსებული ფართის შიდა მზიდ კედელში კარის გაჭრის განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოება უზრუველყოფილი იქნება დასკვნაში მოყვანილი სამუშაოების თანმიმდევრობის დაცვის საფუძველზე.

შპს „გრაალი“-ს დირექტორი / გ. გეთიაშვილი /